UDC 72
SCOPUS CODE 1201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-19-28

ლადო ალექსი-მესხიშვილის წვლილი XX საუკუნის შუა პერიოდის ქართულ ბინათმშენებლობაში

მაია დავითაია არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: m.davitaia@gtu.ge

ნინო ალექსიძე არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: ninonaleksidze@gmail.com

რეცენზენტები:

ბ. თინიკაშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

ქ. ბერეკაშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: k.berekashvili@gtu.ge

ანოტაცია. XX საუკუნის შუა პერიოდის ქართული ბინათმშენებლობა ეპოქისთვის დამახასიათებელი სტილისტურ-მხატვრული მახასიათებლებით გამოირჩევა. არქიტექტურული ტენდენციები უკავშირდება სოციალისტური რეალიზმისა და გვიანი მოდერნისტული მიმდინარეობების ძირითად ნიშნებს. ლადო ალექსი-მესხიშვილის საცხოვრებელი სახლების პროექტებში ვლინდება, როგორც სტალინური ამპირისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ფორმები, ასევე მოდერნიზმის თანამედროვე პრინციპები. არქიტექტორის პროექტების კვლევამ და ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ არის წარმოჩენილი ეპოქათა ცვლილება საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული მოტივები; ინდივიდუალური პროექტები; მოდერნიზმი; საბჭოთა ბინათმშენებლობა; სოციალისტური რეალიზმი; ტიპური პროექტები.

შესავალი

XX საუკუნის შუა პერიოდის საბჭოთა საქართველოს საცხოვრებელი სახლების არქიტექტურამ განვითარების საინტერესო გზა განვლო, რაც ჩვენთვის ცნობილია ფაქტობრივი, სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალების მონაცემებიდან წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, თუ როგორ ვითარდებოდა ბინათმშენებლობის არქიტექტურა საქართველოში და რა წვლილი შეიტანა ლადო ალექსი-მესხიშვილმა აღნიშნული საკითხის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

ძირითადი ნაწილი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ისტორიული ასპექტით, არამედ ხელოვნების განვითარების მიმართულებითაც. არქიტექტურაში იწყება სოციალისტური იდეების პოპულარიზაციისა და მონუმენტალიზმის ხანა. ეპოქის ინდუსტრიული მიღწევების საფუძველზე კლასიკური და ეროვნული მემკვიდრეობის გაცოცხლება სახელოვნებო აზროვნების მთავარი ტენდენცია გახდა. გამარჯვებით ნასაზრდოები ენთუზიაზმი და მოტივაცია საფუძვლად ედება ქარხნების, ფაბრიკების, საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას. არქიტექტურული დეკორი და პომპეზურობა, ლიტერატურის სოციალისტური პროპაგანდა, მხატვრობის ამღლებული თემები ეპოქის სულისკვეთების მაუწყებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ხუროთმოძღვრებაში დეკორატიული შემკულობა და პარადულობა თანაბრად ვრცელდებოდა ყველა დანიშნულების ობიექტზე.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ემორჩილებოდა სახელმწიფო დაკვეთას. ომის შემდგომ წლებში ბინები შენდებოდა ინდივიდუალური პროექტებით, რომელთა ძირითადი მახასითებელი მასშტაბის ეფექტი და კლასიკური ან ნაციონალური ელემენტების გამოყენება იყო. თაღოვანი პორტიკები, აჟურული კარნიზები, ორნამენტული ფრიზები, ელეგანტური პროპილეები, დეკორატიული პარაპეტები, ფრანგული აივნების მოჩუქურთმებული მოაჯირები და სხვა წარმოადგენდა ძვირადღირებულ მხატვრულ დომინანტებს. ეს მეთოდი ერთგვარ რეტროსპექტივას ჰგავდა, სადაც არქაული მეხსიერებით სრულდებოდა მემკვიდრეობის ათვისების მთავარი ლოზუნგი. ქრესტომათიული ფორმები სოციალისტური არქიტექტურის შექმნის მხატვრული საშუალება გახდა. მოგვიანებით, მშენებლობის სწორედ ეს სტილი გამოცხადდა მხატვრულ ზედმეტობებად და ინდუსტრიალიზაციის შეფერხების მიზეზად.

1955 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ". დადგენილებამ მოუწოდა საპროექტო დაწესებულებებს ფუნდამენტურად შეეცვალათ თავიანთი მუშაობა. საბჭოთა არქიტექტურის მთავარი მიზანი გახდა: მშენებლობის ეკონომიურობა, ზედმეტობების აღმოფხვრა ტიპობრივი პროექტების დანერგვა და ფორმალიზმის გაბედული გამოვლენა.

1957 წლის 31 ივლისს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო ახალი ერთობლივი დადგენილება „საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ". დადგენილებით გათვალისწინებული იყო: საბინაო ფონდის ზრდა და სტანდარტული დიზაინით ეკონომიური პროექტების შექმნა. ბინის

ახალი ტიპი ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობას ითვალისწინებდა და განკუთვნილი იყო ერთი ოჯახისთვის, განსხვავებით კომუნალური ბინებისგან. საბჭოთა კავშირში დაიწყო აქტიური პანელური მშენებლობა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური პროექტებით დაგეგმილი სახლების მშენებლობა მაღალი თანამდებობის პირთათვის, რაც, ერთგვარად, ორმაგი სტანდარტის არსებობაზე მიუთითებდა.

სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, ახალი ეპოქის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი. XX საუკუნის 50-იან წლებში საბინაო მშენებლობა ძირითადად, წარმოებდა ტიპობრივი პროექტებით. საცხოვრებელი სახლები შენდებოდა მსხვილი ბლოკებისგან, პანელებისგან, მოცულობითი ბლოკ-ოთახებისგან. სივრცობრივი ბლოკ-ოთახების დანერგვა საინტერესო ექსპერიმენტი იყო მშენებლობის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. ექსპერიმენტის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ამ ტიპის სახლის სამონტაჟო სამუშაოების ძირითადი ნაწილი ქარხანაში იწარმოებოდა, ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და მუშახელი გაცილებით ნაკლები იყო. ე.წ. სახლთსაშენი ქარხნები აიგო საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მასობრივი საბინაო მშენებლობის სახელმწიფო დაკვეთის ეფექტური შესრულების პროცესში ჩაერთო ქვეყნის ყველა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და პროფესიული დაწესებულება.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის აღნიშნულმა კურსმა განსაზღვრა ქალაქებში საცხოვრებელი რაიონების, მასივების განაშენიანება. ეს კი ქალაქთმშენებლობის ახალი და წამყვანი მიმართულება გახდა. მშენებლობის ტიპიზაციამ, დაჩქარებამ, შაბლონურმა პროექტებმა განაპირობა XX საუკუნის ბინათმშენებლობის უსახური და სტანდარტული იერი. არქიტექტურის ესთეტიკური მხარის დაქვეითება გამოწვეული იყო ტიპობრივი პროექტების ვერსიების არარსებობით, არჩევანის შეზღუდულობით. საბჭოთა საცხოვრებელი სახლების მონოტონურმა ერთფეროვნებამ მათი მხატვრული ღირებულება საგრძნობლად შეამცირა. ზოგადად, ტიპობრივი პროექტირების პრინციპი არ გამორიცხავს შენობათა მხატვრული გააზრების შესაძლებლობას, რის მაგალითსაც თანამედროვე არქიტეტურა უხვად იძლევა.

XX საუკუნის 60-იანი წლებდან საქართველოში იწყება მოდერნისტული ტენდენციების დამკვიდრება. ეს სახელოვნებო საზოგადოებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის პერიოდია. არქიტექტორები ადგენენ, არა მხოლოდ ტიპურ პროექტებს, არამედ იქმნება ინდივიდუალური დაკვეთის მოდერნისტული საცხოვრებელი სახლები. მოდერნიზმის მთავარი ტექნიკური და სტილისტური მახასიათებლებია: ბეტონის ესთეტიკის დამკვიდრება, ლითონისა და მინის აქტიური გამოყენება, არქიტექტურული ფორმების სიმკაცრე, ნაგებობათა სისადავე, ღია და გახსნილი სივრცეები, ლენტური ფანჯრები და სხვ. მოდერნიზმი რაციონალური და ზედმეტობებს მოკლებული მხატვრული მიმდინარეობაა, რომელიც წარმატებით აითვისეს ქართველმა არქიტექტორებმა.

ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედება მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული სტილისტური მახასიათებლებით გამოირჩევა. ეს განსხვავება ეხება როგორც საზოგადოებრივი დანიშ-

ნულების ობიექტებს, ისე საცხოვრებელ სახლებს. განვიხილოთ არქიტექტორის პროექტები, სადაც ნათლად ვლინდება საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში წარმოჩენილი ეპოქათა ცვლილება.

თბილისში, ვერის უბანში, ლ. ბოცვაძის ქუჩის N2-ში მდებარეობს საინტერესო, ხრამჰესის მუშაკთა საცხოვრებლად გათვალისწინებული სახლი, რომლის ფასადის ავტორი და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ხელმძღვანელია 30 წლის ლადო ალექსი-მესხიშვილი (სურ.1). ქვემო ქართლში, მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ომისშემდგომი საქართველოს მასშტაბური ინდუსტრიული პროექტი იყო. მათი მშენებლების საცხოვრებელი კი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის ნიმუში უნდა ყოფილიყო.

ოთხსართულიან იმპოზანტურ შენობას ორი სადარბაზო აქვს. ორიგინალური მხატვრული დამუშავებით გამოირჩევა შენობის რიზალიტი, რომელიც კომპოზიციურად სიმეტრიის ღერძის ფუნქციას ასრულებს (სურ. 2). რიზალიტის დიდ თაღებში გაერთიანებული აივნები მობინადრეთა მყუდრო გარემოს უზრუნველყოფს. მცენარეული მოტივით დამშვენებული აივნები, მართკუთხა და წრიული ფორმის ფანჯრების სიმეტრიული განაწილება, გვერდითი ნახევარწრიული აივნების გამოყვანილი რიკულები, კარ-ფანჯრის საპირეები უაღრესად დახვეწილი და პლასტიკურია.

სურ. 1 ლ. ბოცვაძის ქ. N2

შთამბეჭდავია ოთხ სართულზე ერთ თაღში მოქცეული აივნები. მთელ სიმაღლეზე განფენილი პილასტრები. რიზალიტის რამდენიმეიარუსიანი ორდერით დამუშავება ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი მოტივია.

სურ. 2 სურ. 3

საცხოვრებელი სახლი ლ. ბოცვაძის ქუჩაზე

საცხოვრებელი სახლის ოთხივე სართულზე აივნის მოაჯირის გლუვ კედელებს განსხვავებული მცენარეული დეკორი სიმეტრიულად მიუყვება(სურ.7,8,9,10). ფასადის თითოეული დეტალი: რიკულები, პროფილები მაღალი პროფესიონალიზმითაა შესრულებული.

რიზალიტის ფლიგელში მდებარე სადარბაზოებს მთელ სიმაღლეზე მიუყვება ვერტიკალურად შემინული, ბუნებრივი განათებისთვის განკუთვნილი გრძივი ვიტრაჟული სარკმელი. ეს შემინული არე გამჭვირვალე სვეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც დეკორატიულად დამუშავებული შემომსაზღვრელი საყრდენი და სვეტისთავი აქვს. ეზოს მხრიდან ფასადის მორთულობა კომპოზიციურად მსგავსია ქუჩაზე გამავალი ნაწილისა, თუმცა ორნამენტის ფოთლოვანი მოტივი განსხვავებულია (სურ.6). აქაც თაღოვანი სისტემით გაერთიანებული აივნებია, რომელთა მოაჯირებიც ორნამენტებითაა შემკული. რიზალიტის გვერდითი აივნების რიკულები გლუვია (სურ. 5).

შენობის ექსტერიერის გაფორმება მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ავტორი კარგად იცნობს ქართულ ორნამენტულ სკოლას. ფასადის დამუშავება გაწაფული მხატვრის კალიგრაფიას ჰგავს. ცნობილია, რომ ლადო ალექსი-მესხიშვილის წინაპრები კალიგრაფები იყვნენ. ეს ობიექტიც დახვეწილი არქიტექტურული კალიგრაფიის მაგალითია. საცხოვრებელი სახლი არ არის მოპირკეთებული. ის მხოლოდ ბეტონითაა დამუშავებული. ბეტონის ესთეტიკა და მასში გაცოცხლებული ნაციონალური მოტივები შენობას განსაკუთრებულ გამომსახველობას და მხატვრულობას სძენს.

სურ. 4 სადარბაზოს კარი

სურ. 5 რიკულებიანი აივანი

სურ.6 ფასადი ეზოს მხრიდან

სურ. 7 პირველი სართულის ორნამენტი

სურ. 8 მეორე სართულის ორნამენტი

სურ. 9 მესამე სართულის ორნამენტი



სურ. 10 მეოთხე სართულის ორნამენტი

თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე N52 და N54 მდებარეობს ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ დაპროექტებული 80-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (სურ.11). შენობა აგებულია 1958 წელს. ეს არის 5-სართულიანი კუთხის სახლი, რომელიც ი. ჭავჭავაძის გამზირიდან მართი კუთხით მიუყვება ი. კავსაძის ქუჩას. ტეხილი ფორმის შენობა მცირედ გადმოწეული კარნიზით ერთიანდება. კარნიზი ეზოს მხრიდან ხით დამუშავებული აჟურული საყრდენებითაა წარმოდგენილი. სტილისტური თვალსაზრისით ნაგებობა ბუნებრივად ესაზღვრება მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელ სახლებს. ი. ჭავჭავაძის გამზირის ეს მონაკვეთი გამოირჩევა არქიტექტურულ ფორმათა და მოცულობათა თანაბარზომიერებით. საცხოვრებელი სახლის ფასადი სადა და სიმეტრიულია. მის მხატვრულ იერს განსაზღვრავს ჭადრაკისებურად მონაცვლე სიმეტრიული, ერთმანეთის მსგავსი პატარა აივნები. აივნები და მათივე პროპორციული ფანჯრები სახლს მთელ პერიმეტრზე გასდევს.

საცხოვრებელ სახლს მობინადრეთა შესასვლელი ეზოს მხრიდან აქვს. შიგა ეზოსთან დაკავშირება მასიური თაღით ხორციელდება. ეს ღრმა და საპარადო თაღი შენობის კომპოზიციური ცენტრია (სურ.14). თაღი შენობის ორი სართულის სიმაღლეს მოიცავს. ავტორი არ არღვევს ქუჩის განვითარების კონცეფციას და აგრძელებს ვაკის უბნისთვის დამახასიათებელ მონუმენტურობას. შენობა მოდერნისტული ელემენტებით გამოირჩევა, რაც ვლინდება დეკორის უარყოფასა და აივნების მოდიფიცირებაში. ი. ჭავჭავაძის გამზირისთვის დამახასიათებელი ე.წ. ფრანგული აივნები ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში ფუნქციურ დატვირთვას იძენს, შედარებით დიდია და თავისუფალია მორთულობისგან.



სურ.11 საცხ. სახლი ი.ჭავჭავაძის გამზირზე.

სურ.12 ფასადი გამზირის მხრიდან

სურ.13 ფასადი ეზოს მხრიდან

სურ.14 ეზოში შესასვლელი თაღი

1961 წელს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭომ გასცა ნებართვა თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე (ახლანდელი ე. ტატიშვილის ქუჩა ქ. N17) სამი ერთსართულიანი სახლის დანგრევის შესახებ. 1962 წელს ამ ადგილას არქიტექტორების ლადო ალექსიმესხიშვილისა და ნოდარ ვადაჭკორიას პროექტით აშენდა შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი (სურ.15). კუთხის სადა კორპუსს ერთი სადარბაზო აქვს. ქუჩის მხრიდან ფასადს სიმეტრიულად და ლენტისებურად გასდევს აივნები და ფანჯრები. სადარბაზოს დაბალი შესასვლელის თავზე შენობის გარედან დამონტაჟებული ლიფტის მსუბუქად გადატიხრული და ნაწილობრივ შემინული შახტაა, რომელიც სრულდება კოშკურა შვერილით (სურ. 16). ბოლო სართულზე, ერთ-ერთი ბინა ლადო ალექსი-მესხიშვილს სახელოსნოსთვის გამოუყვეს, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

საცხოვრებელი სახლის ფასადი, როგორც ქუჩის ისე ეზოს მხრიდან სახეცვლილია, რაც ვლინდება მიშენებებითა და აივნების გაუქმებით (სურ.17). სადარბაზოში ზოგიერთ სართულზე შემორჩენილია პირვანდელი ხის კარები (სურ. 18,19). თითოეულ სართულზე ორი ხის კარი დერეფნის სისტემით აკავშირებდა რამდენიმე მობინადრეს. ავთენტურად შემორჩენილი, ხის კარით იზოლირებული საერთო ჰოლი სამეზობლოს კომუნიკაციის ფუნქციას და თბილ ატმოსფეროს დღესაც ატარებს.

სურ.15 საცხ. სახლი ყაზბეგის ქუჩაზე.

სურ.16 ფასადი ქუჩის მხრიდან

სურ.17 ფასადი ეზოს მხრიდან

სურ. 18,19 სადარბაზოს პირვანდელი ხის კარი

ლადო ალექსი-მესხიშვილის მეოთხე საცხოვრებელი სახლი შედარებით გვიანი პერიოდისაა. 1965-1970 წლებში თბილისში, ფიქრის გორაზე, ვ. ანჯაფარიძის ქუჩაზე N9 აშენდა 5-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (სურ. 21).

ლადო ალექსი-მესხიშვილის ობიექტი საინტერესო და მოსახერხებელი გეგმარებით გამოირჩევა. შენობა XX საუკუნის 60-იანი წლების საუკეთესო საცხოვრებელ სახლად ითვლებოდა (სურ.20). გამორჩეულობას მას ანიჭებს: ორიგინალური მდებარეობა, საუკეთესო ხედი, გეგმარება, ოთახების განლაგება. საცხოვრებელი სახლის აივნიდან ჯერ კიდევ მოსჩანს არა მარტო ქალაქის ცენტრი, არამედ კავკასიონიც. ეს არ არის ტიპური პროექტი. ყოველი სართული თითო ოჯახისთვის განკუთვნილი ფართობია ხუთსართულიანი ინდივიდუალური პროექტი ინტელიგენციის ფენისთვის იყო განკუთვნილი. ბრტყელი გადახურვა, დიდი, ნათელი, ვიტრაჟული ფანჯრები, ლითონის მარტივი კონსტრუქციის სიმეტრიული აივნები და თავისუფალი გეგმარება განსაზღვრავს შენობის მოდერნისტულ იერს. ვარაზისხევის მხრიდან შენობას გარს უვლის ლითონის თხელ პროფილიანი აივანი, რაც დამატებითი ხიბლია სივრცითი პეიზაჟის აღქმისთვის (სურ.22). საცხოვრებელი სახლის დიდი ფანჯრები იმ პერიოდის საბჭოთა არქიტექტურაში უცხო თემა იყო. ბუნების მიმართ მაქსიმალური გახსნილობა შენობის მთავარი ხიბლია, რითაც დღემდე არ კარგავს პროექტი ინტერესს და პოპულარობას.

სურ. 20 ფიქრის გორა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

სურ. 21, 22 საცხ. სახლი ვ. ანჯაფარიძის ქუჩზე

დასკვნა

ამრიგად, XX საუკუნის საცხოვრებელი სახლის ქართული არქიტექტურა ეპოქის ტენდენციების კვალდაკვალ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ლადო ალექსი-მესხიშვილის პროექტების კვლევამ წარმოაჩინა და გააერთიანა არქიტექტორის მოღვაწეობის კონკრეტული მიმართულება. მათმა ანალიზმა ცხადყო ეროვნული მოტივებისა და მოდერნისტული პრინციპების გამოვლენის მნიშვნელობა ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ლიტერატურა

1. Janberidze, N. (1971). *Georgian Soviet architecture: the path of development.* Tbilisi: “Khelovneba”. (In Georgian);
2. Kvirkelia, T. (1982). *Architectural Tbilisi.* (In Georgian);
3. Jashi, N. (1982). *Socialist Tbilisi Architecture.* Tbilisi: “Khelovneba”. (In Georgian);
4. Kvirkvelia, T. (1985). *Architectural Tbilisi.* Moscow: “Stroyizdat”. (In Russian);
5. Bylinkin, N.P., Kalmykova, V.N., Ryabushin, A.V., Sergeeva, G.V. (1985). *History of Soviet Architecture.* Moscow: “Stroyizdat”. (In Russian).

UDC 72
SCOPUS CODE 1201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-19-28

Lado Alexi-Meskhishvili's Contribution to Georgian Housing Construction in the Middle of the 20th Century

Maia Davitaia Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: m.davitaia@gtu.ge

Nino Aleksidze Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: ninonaleksidze@gmail.com

Reviewers:

B. Tinikashvili, Associate Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU
E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

K. Berekashvili, Associate Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU
E-mail: k.berekashvili@gtu.ge

Abstract. The Georgian apartment building of the middle of the 20th century is characterized by stylistic and artistic features typical for that era. Architectural trends are associated with the main signs of socialist realism and late modernist movements.

In the projects of Lado Alexi-Meskhishvili's residential houses reveal both the architectural characteristic of the Stalinist empire style and the contemporary principles of modernism. The research of the architect's projects and their analysis showed how the change of eras is represented in the architecture of residential houses.

Keywords: individual projects; modernism; national motifs; socialist realism; Soviet housing construction; typical projects.

განხილვის თარიღი 25.12.2023
შემოსვლის თარიღი 28.12.2023
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03..2024